ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 11 აგვისტო, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 32 (243). ფასი 30 კაპ.

მწერალი საკავშირო ტრიბუნაზე

მტკიცე და ურყევია საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახი. სამშობლოს მძიმე განსაცდელმა კიდევ უფრო გაამაგრა იგი, კიდევ უფრო დარაზმა და შეამჭიდროვა მოძმე ხალხები საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკური პარტიის, დიდი **სტალინის** გარშემო. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ ერთიანობის შერყევა, რადგან საბჭოთა ხალხების მეგობრობას ღრმად აქვს ფესვები გადგმული წარსულ რევოლუციონურ ბრძოლებში საერთო ინტერესებისათვის, რადგან ეს მეგობრობა განმტკიცებულია ოცდახუთი წლის საერთო შემოქმედებითი თანამშრომლობით.

საბჭოთა მწერლობა ყოველთვის იყო ხალხთა დიდი მეგობრობის გამომხატველი და მომღერალი, მით უფრო, დღეს საბჭოთა მწერლობა მოწოდებულია ყოველდღიური თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით და საპროპაგანდო მუშაობით გააძლიეროს და გაამაგროს მოძმე ხალხების საბრძოლო ერთსულოვნება და თანამშრომლობა.

სამამულო ომის მწვავე და მძაფრ დღეებში ქართველი საბჭოთა მწერლის ხმა, ისე როგორც ხმა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის მწერლისა, ყოველდღიურად უნდა გაისმოდეს საკავშირო ტრიბუნიდან. ქართველი მწერალი უნდა გამოდიოდეს თავისი მგზნებარე მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვით არა მარტო ადგილობრივი აუდიტორიის, არამედ ყველა მოძმე ხალხის აუდიტორიის წინაშე. რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და სხვა მოძმე ერის მწერლების მსგავსად, ქართველი მწერალი უნდა აცნობდეს მოძმე ხალხებს იმ საბრძოლო სიმამაცეს და შრომით გმირობას, იმ თავდადებასა და სულიერ სიმტკიცეს, რომელთაც იჩენდნენ და იჩენენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, როგორც ბრძოლის ველზე, ისე სამრეწველო საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე, მაღაროებში და ტრანსპორტზე, ყველგან, სადაც კი იჭედება ჩვენი ხალხის გამარჯვება საზიზღარ მტერზე — პირსისხლიან ფაშიზმზე. ქართველი ხალხის დღევანდელი გმირული ბრძოლით და შრომით აღსავსე ცხოვრებიდან ამოღებულ უამრავი ფაქტით შეიარაღებული ქართველი მწერალი უნდა ელაპარაკებოდეს მრავალმილიონიან აუდიტორიას ქართველი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებაზე, მის ყოველდღიურ მზადყოფნაზე — იბრძოლოს მხარდამხარ განუყრელად საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად ბოლომდე ჰიტლერული ტირანიის სრულ და საბოლოო განადგურებამდე.

ამავე დროს საკავშირო ტრიბუნაზე გამოსული ქართველი საბჭოთა მწერალი უნდა გამოხატავდეს იმ სიხარულს, აღტაცებას და [illegible], რომელსაც განაცდევინებს მთელს ქართველ ხალხს რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის საუკეთესო შვილთა ვაჟკაცური ბრძოლა, მათი სიმამაცე და თავდადება სამშობლოსათვის. ქართველი ხალხის დღევანდელი თავდადებული ბრძოლის ამსახველი ფაქტების პოპულარიზაციით, დიდი სამშობლოსა და ყველა მოძმე ერისადმი — ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის და ერთგულების გამომხატველი გამოსვლით ქართველი საბჭოთა მწერალი ყოველდღიურად უნდა ამაგრებდეს და აძლიერებდეს საბჭოთა ქვეყნის უძლეველობის საფუძველს — ხალხთა სტალინურ მეგობრობას.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ, **ლენინ-სტალინის** პარტიის ნაციონალურმა პოლიტიკამ უსაზღვროდ გააფართოვა ქართველი საბჭოთა მწერლის აუდიტორია. საუკეთესო ქართველ მწერლებს იცნობენ და აფასებენ, ღრმა ინტერესით კითხულობენ და ისმენენ ყველა მოძმე რესპუბლიკაში.

ჩვენი საპატიო მოვალეობაა, ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ვისარგებლოთ ამ ფართო შესაძლებლობით: უფრო ხშირად და უფრო მომზადებულად გამოვიდეთ დიდი საკავშირო აუდიტორიის წინაშე.

საკავშირო მკითხველის და მსმენელის წინაშე მწერლის გამოსვლის ფორმა მრავალგვარია. პირველ ყოვლისა ქართველ მწერალს შეუძლია ტრიბუნად გამოიყენოს ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის პრესა და მოძმე რესპუბლიკების მთავარი ცენტრების ჟურნალ-გაზეთები. რუსი, უკრაინელი, ბელორუსი თანამოკალმეების ნაწარმოებთან ერთად ცენტრალურ პრესაში უნდა იბეჭდებოდეს სისტემატურად ცნობილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები. მეორე: რეგულარულად უნდა იმართებოდეს რადიოგადაცემები ქართველ საბჭოთა მწერლების მონაწილეობით მოძმე რესპუბლიკებისათვის და სისტემატურად უნდა ეწყობოდეს მწერალთა მივლინებები საღამოების გასამართად მეზობელ მოძმე რესპუბლიკებში.

ყოველივე ეს, ცხადია, თავის თავად არ მოეწყობა და არ გაკეთდება, როგორც ყველაფერში, აქაც საჭიროა თაოსნობა და ორგანიზაცია, გეგმიანობა და ოპერატიულობა. ყოველ მომენტს ჩვენი დიდი სამამულო ომისას მწერლობა უნდა ხვდებოდეს მომზადებული და დაუყოვნებლივ პოულობდეს საჭირო და სასარგებლო სიტყვას თავის მრავალმილიონიან და მრავალეროვან აუდიტორიისათვის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმმა ყველა ღონისძიება უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ქართველი მწერლების ხმა სამამულო ომის მძაფრ დღეებში ყოველდღიურად გაისმოდეს მაღალ საკავშირო ტრიბუნიდან.

მწერალთა ბრიგადა სამტრედიაში

აგვისტოს პირველ რიცხვებში საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა სამტრედიაში გაგზავნა მწერალთა ბრიგადა **შალვა დადიანის, ალიო მაშაშვილის, სანდრო ეულის, სიმონ წვერავას და ანდრო თევზაძის** შემადგენლობით.

ბრიგადამ პირველი გამოსვლა მოაწყო [illegible] აგვისტოს რკინიგზის კლუბში, სადაც დიდძალმა მუშებმა, კოლმეურნეებმა, მოსამსახურეებმა მოიყარეს თავი.

აუდიტორიის წინაშე მწერალთა გამოსვლას სიტყვა წარუმძღვარა საქ. კპ(ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანმა ამხ. **მ. ნიშნიანიძემ**, რომელმაც ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის რაიონში წარმოებულ გაცხოველებულ მუშაობას.

მოხსენებით „სამამულო ომი და ქართული მწერლობა" გამოვიდა ამხ. სიმ. წვერავა. ამავე თემაზე სიტყვა წარმოსთქვა შალვა დადიანმა.

შემდეგ მწერლებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები: შალვა დადიანმა — ნოველა „გამარჯვება", ალიო მაშაშვილმა — „სიმღერა გამარჯვებისა", „ძმები" და სხვ., სანდრო ეულმა ლექსი — „არასდროს", ანდრო თევზაძემ — „სიმღერა გმირობაზე", „მთავარსარდალი" და სხვ. აუდიტორია მქუხარე ტაშის ცემით ეგებებოდა მწერლების გამოსვლას.

დასასრულ ადგილობრივმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა ქართული საბრძოლო სიმღერები ალიო მაშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, კალე ბობოხიძის, ანდრო თევზაძის და სხვა პოეტების ლექსების ტექსტზე დაწერილი.

იმავე დღეს გაიმართა დიდი საჯარო საღამო რაიონის მშრომელთა მოსახლეობისათვის.

„დავით აღმაშენებლის" მეორე წიგნი

სახელგამი ბეჭდავს კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიის „დავით აღმაშენებლის" პირველ წიგნს, რომელსაც დართული ექნება ავტორის ბოლოსიტყვა, ვრცელი შენიშვნები და განმარტებები.

წიგნი გაფორმებულია მხატვრის ლ. გრიგოლიას მიერ.

კონსტანტინე გამსახურდიამ დაასრულა ტრილოგიის მეორე წიგნიც. იგი დაიბეჭდება ჟურნალ „მნათობის" მერვე ნომრიდან. ამ კარში გაშუქებულია დავით მეფის მიერ საქართველოს დაქუცმაცების მოტრფიალე დიდი ფეოდალების და მთავრების — ლიპარიტის, თრიალეთის ერისთავის, კვირიკე კახთა მეფის, აღსართან მეორის, ძაგან [illegible] ციხის მფლობელის დათრგუნვა, დავითის ბრძოლა კლერიკალიზმის და თავაშვებული სასულიერო პირების წინააღმდეგ; დავით მეფის საგარეო პოლიტიკა, თურქებისადმი ხარაჯის მიცემის აღკვეთა, შიდა-ქართლის, თრიალეთის და კახეთ-ჰერეთის შემოერთება; თურქის ლაშქრის დამარცხება ერწუხში, საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის პროვინციების და ციხეების სამეფოსათვის შემოერთება, საერთოდ — დავით მეფის ბრძოლები, რეფორმები და საამშენებლო პრაქტიკა 1093 წლიდან 1110 წლამდე.

საქართველოს საბჭოთა მწერლების წერილი უკრაინელ საბჭოთა მწერლებისადმი

ძვირფასო ძმებო!

დედა-სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის დიადი ბრძოლის ეხლანდელს მძაფრსა და მრისხანე ვითარებაში აღვნიშნავთ დღეს ჩვენი საამაყო წინაპრის, დიდი ქართველი პოეტის **დავით გურამიშვილის** გარდაცვალების 150 წლისთავს.

ჩვენ თქვენთან ერთად ვაპირებდით გვეზეიმნა ეს თარიღი, რადგან ნათელი ხსოვნა უკრაინის პოხიერ მიწაზე დამარხული ქართველი პოეტისა თანაბრად ძვირფასი და საყვარელია ქართველი და უკრაინელი ხალხისათვის. ჩვენ ვოცნებობდით შევკრებილიყავით აყვავებული საბჭოთა უკრაინის პატარა ქალაქში — მირგოროდში, გურამიშვილის საფლავზე, რათა ერთხელ კიდევ გვეჩვენებინა მთელი ქვეყნისათვის, თუ როგორ ბრწყინვალედ განხორციელდა ჩვენს სამშობლოში წარსულის საუკეთესო ადამიანთა უმაღლესი იდეალები, თუ როგორის ძმური ერთსულოვნებით აშენეს საბჭოთა ხალხებმა თავიანთი დიდი წინაპრების უკვდავი ტრადიციების საფუძველზე ახალი თავისუფალი მზიური ცხოვრება.

ისტორიის უბნელესი და უბოროტესი ძალის, სისხლიანი ჰიტლერიზმის მიერ მთელი კაცობრიობისათვის ავაზაკურად თავზე მოხვეულმა ომმა ამჟამად განუხორციელებელი გახადა ეს განზრახვა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მტერს მოეხერხებინოს ან საერთოდ შესაძლებელი იყოს ჩვენი ერთმანეთისაგან დაშორება, ჩვენი ხალხების ძმობისა და სტალინური მეგობრობის შერყევა. პირიქით, დიადი სამამულო ომის ქარცეცხლში ახალი საბრძოლო წრთობა მიიღო ჩვენმა კავშირმა და მეგობრობამ. იგი უფრო განმტკიცდა და შედუღაბდა ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილთა სისხლით, რომელიც უხვად დაიღვარა და ეხლაც იღვრება უცხოელ დამპყრობელთა ურდოებისაგან ჩვენი მშობლიური მიწა-წყლის ყოველი მტკაველის დასაცავად ბრძოლაში თვალუწვდენი საბჭოეთის ყოველ უბანზე.

ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ძვირფასია ჩვენთვის და სასიცოცხლოდ აუცილებელი დიდი **ლენინისა** და **სტალინის** მიერ გამოჭედილი ძმობა და მეგობრობა ჩვენი ქედუხრელი და თავისუფლების მოყვარე ხალხებისა. ეხლა უფრო ცხოვლად, ვიდრე ოდესმე, განვიცდით ჩვენ ერთმანეთის მხარდამხარ დგომის, ერთმანეთისაკენ მისწრაფების ძალას და ამიტომაც გურამიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან არ გამოგეხმაუროთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო.

შორეულ წარსულში, ჩვენი ხალხების გათიშვისა და კარჩაკეტილობის ბნელ ეპოქაში, დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით განასახიერა უკრაინელთა ქართველ ხალხთან ურთიერთმეგობრობის მაღალი იდეა. მთელი მისი შემოქმედება ჩვენი ხალხების მეგობრობის კეთილშობილური იდეით არის შთაგონებული. იგი ღრმად არის გამსჭვალული ჩვენი დიადი მოძმის, დევგმირი რუსი ხალხისადმი სიყვარულისა და მადლიერების წრფელი გრძნობით. დავით გურამიშვილი ჩვენი ღირსეული წინამორბედია, როგორც მგზნებარე პატრიოტი, რომელმაც შთაგონებულ პოეტურ სახეებში აღმაგზნებელ სიმღერებში უღრმესად გამოხატა დედასამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის იდეა. დავით გურამიშვილი ჩვენი წინამორბედია, როგორც პოეტი მეომარი, რომელმაც თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი ბრძოლის ველებზე გაატარა, რუსი და უკრაინელი ხალხის შვილებთან ერთად, შვიდწლიან ომის დროს მონაწილეობა მიიღო პრუსიელ დამპყრობელთა შესამუსრავად წარმოებულ ბრძოლებში და შემდეგ განუზომელი კმაყოფილებით ამბობდა: „ბრუსის კოროლს შევურყიეთ ტახტის სვეტი"-ო.

პრუსიელ მტაცებელთა ეხლანდელი უმახინჯესი ნაშიერის ჰიტლერული ტირანიის ტახტის სვეტის შესარყევად კი არა, მისი სრული განადგურებისა და დამხობისათვის გაჩაღებულ ეხლანდელ დიად ბრძოლაში დავით გურამიშვილი, ისევე, როგორც საკაცობრიო კულტურის ყოველი ჭეშმარიტი მუშაკი, ჩვენთან არის და თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ბრწყინვალე მაგალითით აფოლადებს ჩვენს საბრძოლო ნებისყოფას, აღვივებს და ზრდის ჩვენს პატრიოტულ თავგანწირულებას.

ძვირფასო ძმებო, ჩვენც თქვენსავით მწვავედ განვიცდით იმ ჯოჯოხეთურ საშინელებას, რომელიც ტრიალებს ეხლა ველურ დამპყრობთა მიერ დროებით ოკუპირებულ უკრაინის მიწა-წყალზე, სადაც სისხლის მდინარეები სჩქეფენ, სადაც მურტალი ქუსლით ითელება ადამიანის ყოველი ღირსება, სადაც უკრაინელი ხალხის გენიალური შვილის დიდი შევჩენკოს საფლავთან ერთად იბილწება დავით გურამიშვილის სამარეც. ახლა ვერაგი მტერი დაჭრილი ნადირის გააფთრებით მოიწევს სამხრეთისაკენ, რათა გადასთელოს, გაძარცვოს და დაიმონოს კავკასიის ხალხები და მათ შორის ქართველი ხალხიც. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს არასოდეს არა ჰყოლია ისეთი მძვინვარე და დაუნდობელი მტერი, როგორიც არის სისხლიანი ჰიტლერი, რომელმაც კაცთმოძულეობით და ვერაგობით შორს გაუსწრო ყოველ მურვან-ყრუს, ჩინგის-ყაენს და თემურ ლენგს. ეხლა მთელი ჩვენი სამშობლოს ბედიღბალთან ერთად სწყდება ქართველი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, და ამ უმძიმესი ისტორიული გამოცდის დღეებში საქართველოს საბჭოთა მწერლები მოგესალმებიან და ძმურად ხელს გიწვდიან თქვენს ჭირსა და ლხინში თავიანთ ნაცად და განუყრელ მეგობრებს.

ფიცი დავსდოთ ჩვენი დიდი წინაპრების ნათელი ხსოვნის წინაშე, ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს წინაშე, ჩვენი დაუხრელი, ელვარე ბოლშევიკური დროშების წინაშე, რომ არ დავზოგავთ ნიჭსა და ძალას, თვით სიცოცხლესაც კი იმ დიადი საქმისათვის, რომელსაც მიხაკისფერი საშინელების, ჰიტლერის ჯოჯოხეთური ტირანიის საბოლოოდ დამხობა და განადგურება წარმოადგენს.

შორს არ არის ის დღე, როცა ჩაქრება ეხლანდელ დიად ბრძოლათა ქარიშხალი, როცა ჩვენი მშობელი მიწა-წყალი მოიშორებს მწვავე ჭრილობებს და ჩვენ შევიკრიბებით, რათა ერთმანეთს მივულოცოთ ჩვენი სისხლით მოპოვებული საერთო დიადი გამარჯვება. მაშინ კვლავ ერთად ვიზეიმებთ, ერთად ვაშენებთ და ერთად შევქმნით ჩვენი სწორუპოვარი ხალხების საგმირო საქმეთა ახალ დიდებულ ეპოსს.

მანამდე კი ერთად და თავდადებულად, სიცოცხლის დაუზოგველად ვანადგუროთ მტრის გაცოფებული ურდოები, ვანადგუროთ ისინი ჩვენი ხალხების სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის, ჩვენი დედა-სამშობლოს ღირსებისა და უკვდავებისათვის.

გაუმარჯოს დევგმირი საბჭოთა ხალხების ურყევ სტალინურ მეგობრობას!

ვაშა და დიდება ჩვენს უძლეველ წითელ არმიას — მთელი კულტურული კაცობრიობის მხსნელსა და დამცველს!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ბელადსა და ძლევამოსილ მხედართმთავარს, ჩვენს მშობლიურ **სტალინს**!

საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით: ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, რ. გვეტაძე, შ. დადიანი, ს. ეული, პ. ინგოროყვა, ს. კლდიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, გ. ლეონიძე, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, ბ. ჟღენტი, შ. რადიანი, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი.

შენ შენი ქვეყნის სახელს იცავდი

იოსებ ნონეშვილი

საბჭოთა კავშირის გმირს ნ. ადამიას

იმ ღამეს ფერი ეცვალა ცასაც,
ქარი ღრუბლების იალქნებს შლიდა
და იმერული ჩონგურის მსგავსად
არ ღუღუნებდა ზღვის ტალღა მშვიდად.

ირგვლივ ქარიშხლის სტვენა ისმოდა,
თითქოს ლეწავდნენ ჯავშანის ფიცარს,
შემოჰხვეოდა შავი ნისლები
სევასტოპოლის მშობლიურ მიწას.

ფოლადად გექცა მკერდის ფიცარი,
აგიმღელვარდა მკლავებში ძალა,
შენ შენი ქვეყნის კარებს იცავდი,
შენ ცას, შენ ბაღებს, შენ ოქრო ყანას.

სევასტოპოლის მიუვალ კართან
შხამიან გველებს აცლიდი ნესტარს.
არ დაეშხამათ სამშობლოს კალთა,
ბაღ-ვენახები არ დაეგესლათ.

გსურდა დაგეჭრა მკერდში ნადირი,
მახვილთა რისხვით დაგეკრა ზაფრა.
არ წაებილწა დედის მანდილი,
არ შეხებოდა წინაპრის საფლავს.

მარტო ზღაპრებში გამიგონია,
რომ ერთი ათას მტრებში შევარდეს,
რა ქარიშხალის ძალა გქონია
სამშობლო ქვეყნის ამაყ შევარდენს...

გფარავდა დროშა ალისფერადი,
ხმლის ერთი დაკვრით ლეწდი ყაჩაღებს,
ჩვენი პურისთვის მოსულ ვერაგებს
სევასტოპოლის მიწა აჭამე.

ცეცხლში გეწვოდა მკერდის ფიცარი.
გემატებოდა მკლავებში ძალა,
შენ შენი ქვეყნის სახელს იცავდი
და მამის ოფლით მოყვანილ ყანას.

მალე მუხანათ მტერთა ჩრდილებიც
არ დარჩებიან მშობლიურ ველზე,
და ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები
ლამაზ სიმღერებს იტყვიან შენზე,

თუ ვით იცოდი შენ გაფთრება,
თუ ვით დაფერე ფრანგულის პირი
და დიდ ბელადის ურყევმა ნებამ,
როგორ გაგხადა სამშობლოს გმირი.

დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი საღამო მწერალთა კლუბში

პირველ აგვისტოს, დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად გამართულმა საღამომ, მწერალთა კლუბში დიდძალი საზოგადოება მიიზიდა.

საღამო გახსნა **სიმონ ჩიქოვანმა**, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში მოკლედ დაახასიათა დიდი პოეტის ლიტერატურული მოღვაწეობა, მისი როლი და ადგილი ქართული მწერლობის განვითარებაში.

შეუნელებელი ინტერესით მოისმინა აუდიტორიამ **გიორგი ლეონიძის** საყურადღებო მოხსენება დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მოხსენება შეიცავდა ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ მრავალ ფაქტს დ. გურამიშვილის ბიოგრაფიიდან, სამხედრო და სამწერლო მოღვაწეობიდან.

— იშვიათია ისეთი ნაციონალური თვითშეგნების პოეტი, — სთქვა მომხსენებელმა, — როგორიც არის დავით გურამიშვილი. ამ მხრივ იგი ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის წინამორბედია. მისი ლირიული და ეპიური შემოქმედება — დიდი ნაციონალური გრძნობის რომანტიკაა. ხელშეკრული და სისხლით „გაბასრული" სამშობლოს სახე ერთად-ერთი სახილველი სახეა გადახვეწილი პოეტისათვის. გურამიშვილის შესანიშნავი ეპოპეა „ქართლის ჭირი" დიდებულ ისტორიულ და პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. ამ ეპოპეაში დ. გურამიშვილი მოსჩანს როგორც დიდი მორალური ძალის ფიგურა, როგორც თანამედროვე ქართველი საზოგადოების მამხილებელი. გურამიშვილი ბოლომდე სიცოცხლის მომღერალი დარჩა, მას უყვარდა ადამიანი და ამ ადამიანის სიხარულისა და ბედნიერების ჰიმნია მისი ლირიკა და პოემაც — „ქაცვია მწყემსი". რუსთველის შემდეგ ქართულმა პოეზიამ არ იცოდა მისებრ მომღერალი. გურამიშვილის პოეზია ხალხური სულის პოეტური ანარეკლია. გურამიშვილმა ცოცხალი ხალხური სიტყვა აღიარა ლიტერატურის საფუძვლად, მან პირველმა გამოიყენა ფორმა ხალხური სიმღერებისა და ეს ჟანრი აიყვანა პოეტურ სიმაღლემდე. მისი ლექსების უმრავლესობა შეწყობილია ქართულ-რუსულ-უკრაინულ ხალხურ მოტივებზე. დ. გურამიშვილის ლექსის მუსიკალობასთან ერთად აღსანიშნავია მისი პოეტური ენის პლასტიურობა, მისი ენა მოქნილი და ფერადოვანია. გასაოცარია მისი ლექსიკის სიმდიდრე. საფიქრებელია, რომ მასზე დიდი გავლენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს. მისი ლექსიკონიდან გურამიშვილს შეუთვისებია მრავალი არქაული სიტყვა, რომელიც ხალხში აღარ იხმარებოდა და მით უმეტეს, არ შეიძლებოდა პოეტს უკრაინაში გაეგონა. ამ დებულებას მომხსენებელი მრავალი ფაქტით ასაბუთებს. ფორმის მხრით, კერძოთ, კეთილხმოვანი ჰარმონიული რითმის სიუხვის მხრით, დ. გურამიშვილს ბადალი არა ჰყავს მის დროინდელ ქართულ პოეზიაში.

დ. გურამიშვილის დიდი პატრიოტული სულისკვეთებით, ღრმა ნაციონალური გრძნობით იხსნება მისი პოეტური ხმის გამძლეობა. მისი „დავითიანი" ქართველი ხალხის საყვარელ წიგნად იქცა, მას იზეპირებდნენ როგორც მთაში, ისე ბარში. „დავითიანით" ხშირად ანბანსაც კი სწავლობდნენ. ზოგიერთი მისი ლექსი ხალხურ პოეზიაშიც კი გადავიდა.

ქართველ ხალხთან ერთად გურამიშვილი თავის პოეტად მიიღო უკრაინის ხალხმა, რადგან იგი გამოხატავს უკრაინის ხალხის ცხოვრებასაც. მრავალი მისი ლექსი დაწერილია უკრაინული სიმღერების მოტივებზე და სიუჟეტებზედაც კი.

დ. გურამიშვილი ქართველი და უკრაინელი ხალხის ძმობის პიონერია. უკრაინის ხალხი მხურვალედ ემზადებოდა პოეტის გარდაცვალებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად, მაგრამ ეს მზადება შესწყვიტა ფაშისტ ბარბაროსების შემოსევამ. დღეს უკრაინის დიდი მომღერლის ტარას შევჩენკოს და დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავები ფაშისტების ტყვეობაშია. საბჭოთა ხალხი გაანთავისუფლებს რა უკრაინის და სხვა მოძმე რესპუბლიკების წმინდა მიწა-წყალს ფაშისტ ოკუპანტებისაგან, იხსნის ჩვენს დიდ პოეტებსაც საშინელი ტყვეობიდან. მაშინ ქართველ ხალხთან ერთად უკრაინის ხალხი ღირსეულად აღნიშნავს დ. გურამიშვილის ღვაწლსა და ამაგს სამშობლოს წინაშე.

მოხსენების შემდეგ დ. გურამიშვილის შემოქმედებაზე და მის მნიშვნელობაზე სიტყვები წარმოსთქვეს **ლეო ქიაჩელმა და ბესარიონ ჟღენტმა**. პირველმა ილაპარაკა იმაზე თუ რა დიდი ზეგავლენა იქონია დ. გურამიშვილის პოეზიამ მისი თაობის იდეურ და მორალურ ჩამოყალიბებაზე, ხოლო მეორემ ხაზი გაუსვა დ. გურამიშვილის პოეზიის ღრმა პატრიოტიზმს, რომელიც დღეს — სამამულო ომის ვითარებაში საბრძოლო სულისკვეთებით აიარაღებს საბჭოთა მოქალაქეს.

სიტყვების დასრულების შემდეგ კრებამ მქუხარე ტაშის ცემით მიიღო ქართველი საბჭოთა მწერლების მიმართვა უკრაინელ საბჭოთა მწერლებისადმი.

დასასრულ რუსმა მწერალმა ივანე ნოვიკოვმა წაიკითხა დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილი სიმონ ჩიქოვანის ლექსის საკუთარი თარგმანი, პოეტმა დ. სტრელცოვმა წარმოსთქვა მის მიერ რუსულად თარგმნილი ნაწყვეტი დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირი"-დან. რუსთაველის თეატრის მსახიობმა ალექსანდრა თოიძემ წაიკითხა დ. გურამიშვილის ლექსი „ზუზოვკიდან მომავალმა".

ამირანის ანდერძი*

სანდრო ეული

დაკვირვებული თვალისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა ამირან ვაშაძის ოჯახის წუხილი. მისი დედ-მამა და ცოლ-შვილი მთელი დღე ჩვეულებრივ შრომას ეწეოდნენ. გარეშესათვის მათი სახის გამომეტყველებაც არ გამოხატავდა იმ სულიერ მღელვარებას, რომელსაც თვითეული მათგანი განიცდიდა. ამირანის მამას ნიკიფორეს საქებად მიაჩნდა, რომ მისი ბიჭი სხვებს არ ჩამორჩენია და ფრონტზე იბრძოდა.

— ჩემი ამირან მოწინავე კოლმეურნე იყო და ფრონტზედაც მოწინავე მებრძოლია. ვენაცვალე მას!—ამბობდა იგი, ახალუხის ჯიბიდან კარგა ხნის წინად მიღებულ წერილს ამოიღებდა და მეზობლებს წაუკითხავდა:

„მამაჩემო, იმედი იქონიე, რომ ამირან ჩივილს არ გათქმევს, სახელს არ შეგირცხვენს...“

ნიკიფორე წერილის თარიღს დახედავდა და სწორედ გაიფიქრებდა:

ნამდვილად ცუდი რამე შეემთხვა ბიჭს, თუ არა ამდენხანს ხმა არ მოიწერებოდა.

წერილს ოთხად დაკეცდა და ისევ ახალუხის ჯიბეში ჩაიდებდა.

შეშფოთებულ და ნაღვლიან დედის თვალებიდან ცრემლი გუბდებოდა და ღაპა-ღუპით გადმოიღვრებოდა, როცა გამარტოვდებოდა და მწარე ფიქრებს მიეცემოდა.

— ბაბალე, ხომ არაფერი შეგიტყვია ამირანის შესახებ?—ეკითხებოდნენ მეზობლები.

— რავა არა, კარგად ყოფილა,—ენაცვალოს დედა!—მარა ძალიან შორს არისო, ასე ამბობს, წერილსაც თურმე მიტომ აგვიანდება.

და თითქოს დაიმედებული დედა ცდილობდა მეზობლების წინაშე თავი მაგრა დაეჭირა.

ყველაზე მტკიცედ მედა იტანდა გულის ტკივილს, რომელსაც იგი განიცდიდა იმის გამო, რომ საყვარელი ქმრის შესახებ დიდი ხანია არაფერი იცოდა.

— გაუსკდეს მიწა, რა ქმარი დაეღუპა და იგი ერთხელაც არ მოიწყენსო!—ამბობდნენ სოფლის ჭორიკანა დედაკაცები.

მათ რა იცოდნენ, მედას გულში რა ცეცხლი ღვივოდა: მას დღისით თვალწინ ელანდებოდა საყვარელი ადამიანის სახე, ღამით კი არ ასვენებდნენ კოშმარული სიზმრები.

პატარა გურამსაც, ფრიადოსან მოწაფესა და პიონერს, არ ასვენებდა მამაზე ფიქრი. მაგრამ ტოლ-ამხანაგებში იგი არაფერს იმჩნევდა. გაზეთებს თვალყურს ადევნებდა, რომ ეგება მამაზე რამე ეწეროსო. სოფელში კი ხმა იყო, გავრცელებული ამირანის დაღუპვის შესახებ. მის მშობლებსა და ცოლშვილს არაფერს ეუბნებოდნენ, ფიქრობდნენ, ვაი თუ ამ უბედურების ატანა ვერ შესძლონო. განსაკუთრებით უდავო ხდებოდა ამირანის მოკვლის ამბავი მას შემდეგ, რაც მეზობელ სოფელში ფრონტიდან წერილი მოუვიდათ, სადაც ერთ-ერთი მებრძოლი იწერებოდა მასთან ერთად ამირან ვაშაძის დაჭრის შესახებ. ეს ცნობა ნიკიფორემ ჩუმად შეამოწმა, დილით ადრე მეზობელ სოფელში გაიჭრა, დაჭრილი მეომრის მამა ინახულა, ყველაფერი გამოჰკითხა, წერილი თვითონ წაიკითხა და დარწმუნებული, რომ სოფლად გავრცელებული ხმები ამირანის დაღუპვის შესახებ მართალი იქნებოდა, დამწუხრებული დაბრუნდა სახლში. მაგრამ მოხუცი მამა გულს არ იტეხდა და მტკიცედ იცავდა შვილის დარიგებას: იმ შემთხვევაში, თუ მას ომში მოჰკლავდნენ, იგი ვაჟკაცურად გადაიტანდა მწუხარებას და ოჯახს უპატრონებდა. ასევე მტკიცედ იცავდნენ მედა და გურამი იმ დაპირებას, რომელიც ამირანმა ჩამოართვა მათ ჯარში წასვლისას: თუ იგი ფრონტიდან აღარ დაბრუნდებოდა, სულით არ დაეცემოდნენ და ტანჯვასა და მწუხარებას გაუძლებდნენ. რაც ბაბალე ივიწყებდა შვილის დარიგებას: „დედი, შენ იცი თავს როგორ მოუვლი, ოჯახს როგორ უპატრონებ. მედა გამოუცდელი ქალია, შენი იმედი მაქვს. მე იმედი მაქვს მტერი დამარცხდება, მალე გამარჯვებული დავბრუნდები. მაგრამ, ვთქვათ, ცუდი რამ შემემთხვა. მაშინ შენ უფრო მეტი სიმტკიცე და ნებისყოფა უნდა გამოიჩინო, როგორც შეჰფერის ნამდვილ დედას“.

დრო გადიოდა. სოფელში ამირანს ცოცხალთა შორის არავინ სთვლიდა. მის შესახებ აღარაფერი ისმოდა.

ერთ დღეს ნიკიფორეს შორეულ სოფლიდან ნათესავი ესტუმრა. მას ამირანის ამბავი გაეგო და ნიკიფორესათვის სამძიმრის გამოსაცხადებლად მივიდა. სტუმარმა და მასპინძელმა ერთმანეთი მოიკითხეს. შემდეგ სტუმარმა თავისი ვაჟის დაჯილდოების შესახებ უამბო, იგი ლენინგრადის ფრონტზე იბრძოდა.

ნიკიფორემ ნათესავს სასიხარულო ამბავი მიულოცა და ამირანის შესახებაც ჩამოუგდო ლაპარაკი.

— კაი ხანია ბიჭის წერილი არ მიმიღია, მარა არა უშავს-რა, ამბავს ვტყობილობ: ძალიან დიდ ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა და თავიც გამოუჩენია. ამირანს შენ კი იცნობ, იგი ისეთი ბიჭია, რომ თავს არ შეირცხვენს.

ნიკიფორემ ბაბალეს დაუძახა და სტუმრისადმი უყურადღებობა უსაყვედურა:

— სანამ მაგ ვახშამს მოგვიმზადებდე, ეს ომიც გათავდება და მაშინ სხვანაირი ვახშამი დაგვჭირდება.

სტუმარს გაეცინა. ბაბალემ ბოდიში მოიხადა მის წინაშე.

— ოღონდ ომი გათავდეს და მაგ სისხლისმსმელ ფაშისტებს ამოვხოცავდეთ და მაშინ ყოველდღე ქორწილი მექნება, ჩაილაპარაკა მან, განჯინიდან არყიანი ბოთლი გადმოიღო და ნიკიფორეს წინ მაგიდაზე დაუდგა.

სტუმარი და მასპინძელი არაყს შეექცეოდნენ და ომის გარშემო საუბრობდნენ, ბაბალე ვახშამს ამზადებდა.

მედა თავის მეგობარ ქალთან წასულიყო, რომელსაც ომში სამი ძმა ჰყავდა. ორისაგან წერილები ხშირად მოსდიოდა, კარგ ამბებს იწერებოდნენ. მესამესაგან კი ერთი წერილი ჰქონდათ მიღებული, ისიც ორი თვის წინად, რომელშიაც ამირანის შესახებ ეწერა: „ჩვენ ერთად ვიბრძოდით, ერთად დავიჭერით. იგი ჩემზე უფრო მძიმედ იყო დაჭრილი. შემდეგ აღარ მინახავს. არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი“.

მედა მეგობართან ცოტა ხნით დარჩა და შინისაკენ გასწია. იმედის უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩაჰქრა მასში. იგი მიდიოდა შარაგზაზე, მიდიოდა მარტო, თვალცრემლიანი და იგონებდა ამირანს.

იგი შეჩერდა. სოფლის სკოლის დარბაზიდან შუქი გამოკრთოდა. დარბაზში ადგილობრივი ახალგაზრდების ანტიფაშისტური საღამო იმართებოდა. ამ საღამოზე გურამიც უნდა გამოსულიყო. მედა დარბაზში შევიდა სწორედ იმ დროს, როცა გურამს სიტყვა ეთქვა და თავის ლექსს „მებრძოლ მამას“ კითხულობდა. მან მხოლოდ ბოლო სტრიქონებს მოუსმინა.

გურამს დარბაზი აღტაცებით შეხვდა. აქაიქ გაისმოდა: საწყალი ბავშვი, მამა ცოცხალი ჰგონია...

მედა გურამს გამოსასვლელ კარებში შეეგება.

დედა და შვილი სახლისაკენ გაეშურნენ. ერთხანს დუმილით მიდიოდნენ. გურამს დღეს ამხანაგებმა ამირანზე ჩამოუგდეს ლაპარაკი. ისინიც განიცდიდნენ მეგობრის მწუხარებას. უნდოდათ ნუგეში ეცათ მისთვის, მაგრამ გურამს არ უხდოდა ამაზე ლაპარაკი. იგი ასრულებდა იმ დაპირებას, რომელიც მამას მისცა, რომ იგი ფრიადოსანი მოწაფე იქნებოდა, შრომისმოყვარე და სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული.

დუმილი გურამმა დაარღვია:

— დედა, ასე მგონია, მალე მამის წერილს მივიღებთ.

— კი, შვილო, მალე უნდა მივიღოთ, გენაცვალოს დედა! — უპასუხა მედამ შვილს.

როცა ისინი სახლში შევიდნენ, ბაბალე სუფრის გაშლას შეუდგა.

— ოჰო, ამირანს რამხელა ვაჟკაცი ჰყოლია! — სთქვა სტუმარმა და ბავშვს გაუღიმა.

მედა დედამთილს სუფრის გაშლაში დაეხმარა. ვახშამს შეუდგნენ. ნიკიფორემ ღვინით სავსე ჭიქა აიღო და ადღეგრძელა სტუმარი, მისი ცოლშვილი, განსაკუთრებით მისი ვაჟი, რომელსაც ფრონტზე გმირული ბრძოლისათვის ჯილდო მიეღო. სტუმარმაც თავის მხრივ ნიკიფორეს ოჯახი ადღეგრძელა: ბაბალე, მედა, პატარა გურამი, განსაკუთრებით კი ამირანს უსურვა სიცოცხლე. ბაბალემ სტუმრის შეუმჩნევლად ნიკაპზე ხელისგული მიიფარა და თავი გაიქნია. მედას თავი ჩაეღუნა. ნიკიფორე ღვინიან ჭიქას დასცქეროდა. გურამი ოთახის კუთხეში იჯდა და ფიქრებს მისცემოდა.

ნიკიფორე წამოდგა და ისეთი ხმით დაიწყო, თითქოს მას ათასი კაცი უსმენდა:

— ჩემი ბიჭი ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცად დარჩება. ვინ იცის, ეგებ არც დაბრუნდეს, მაგრამ...

ნიკიფორეს შეწუხებული თვალები მიანათეს ბაბალემ და მედამ.

— შენ ენას თავის შაქარი! — მიაწყევლა ბაბალემ.

— ასე ლაპარაკი როგორ შეიძლება? — წყენით ჩაილაპარაკა მედამ.

ნიკიფორემ ხმა დაიდაბლა და დამნაშავის ტონით განაგრძო:

— ნეტა ისეთი რა ვთქვი? ეგებ არ დაბრუნდეს-მეთქი... შვილია, ჩემი ხორცი, მარა თუ უბედურება დაგვატყდება, რას ვიზამთ, უნდა შეურიგდეთ. ხომ ხედავთ, სხვანაირი ომია. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას, ან ყველა დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ.

— აგრეა, ბაბუ, აგრე! — გაისმა გურამის წკრიალა ხმა.

— ხომ ხედავთ, გურამიც შემოწმება. როგორია, შვილო, შოთას ბრძნული სიტყვები, ჭირში რომ კაცი ქვითკირივით უნდა გამაგრდესო.

— „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“, — გაისმა ისევ გურამის ხმა.

— გენაცვალოს დედა! ყველაფერი იცის. შვილო, მოდი ჩვენც წაგვიკითხე მამაზე ლექსი. — და მედამ უამბო მათ გურამის გამოსვლა და ლექსის წაკითხვა საღამოზე.

— არ შემიძლია! — იუარა გურამმა.

— გთხოვ, ბიძია, გთხოვ! — არ ეშვებოდა მას სტუმარი.

ო. ჩემი გურამი ისეთ ლექსებსა სწერს, რომ ყველა გაოცებულია, — თავმომწონედ წარმოსთქვა ნიკიფორემ.

— წაიკითხე, გენაცვალე, წაიკითხე! — სთხოვდა ბაბალეც.

გურამი წინ წამოდგა და ისე მოხდენილად წაიკითხა ლექსი, რომ ყველას სიხარულით სახე გაუბრწყინდა.

ივახშმეს. ცალკე ოთახში გაუშალეს ლოგინი სტუმარს, რომელიც ერთნაირ უხერხულობას გრძნობდა: ამ ოჯახში იგი მისულიყო, რომ ჭირისუფლისათვის სამძიმარი გამოეცხადებინა. ოჯახში კი ამირანს ცოცხლად სთვლიდნენ.

სტუმარს მალე ჩაეძინა. გურამსაც ძილი მოუვიდა. არ ეძინებოდა ნიკიფორეს და ბაბალეს. მედა კი სთვლემდა. ცა ერთი თვალით დაჰყურებდა დედამიწას, მაგრამ მაინც საკმაოდ ჰფენდა მას ვერცხლისფერ შუქს.

ქიშკარი ნელა გაიღო და ეზოში ვიღაც შევიდა, რაც ოდის ქვეშ მძინარე ყურშავას არ გამოეპარა. ძაღლის ყეფაზე ნიკიფორე წამოდგა.

— ვინ უნდა იყოს? — გაიფიქრა მან და აივანზე გამოვიდა.

ყურშავამ ყეფა შესწყვიტა, ეზოში შესულს ცქმუტუნით შეეგება.

— ეი, ვინა ხარ? — მიაძახა აივნიდან ნიკიფორემ.

— მასპინძელო, მასპინძელო! — გაისმა ეზოში ნაცნობი ხმა.

ნიკიფორე აივნიდან ძირს დაეშვა და ოდის წინ მამა და შვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— შვილო, ამირან, როგორა ხარ, მითხარი შვილო?

— კაჟივითა ვარ, კაჟივით! ისეთ ამბებს გიამბობ მამა, ისეთ ამბებს, რომ ცამ ქუხილი დაიწყოს.

თუმცა გათენებამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო, ამირანის ოჯახი უკვე ფეხზე იდგა. მეზობლებიც დგებოდნენ და ამირანის სანახავად მიდიოდნენ, რომლის მკერდს წითელი ვარსკვლავის ორდენი ამშვენებდა. ბაბალე, მედა და გურამი ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ამირანს.

სტუმარი ულოცავდა მას სახლში დაბრუნებას.

უკვე თენდებოდა და ამირანის ოჯახიც ივსებოდა ნეტარებითა და სიხარულით.

---

*) თავი მოთხრობიდან.

მებრძოლის ჩანთაში ნაპოვნი წიგნი

შალვა შენგელი

წონა წიგნისა
მოცულობით არ გაიგება,
ტანწვრილ წიგნშიაც
ტონებია ბევრჯერ ჩამჯდარი;
სტრიქონში რკინას
გზა დაუთმონ ახლა იებმა,
სანამ ჩვენს დედას,
  ჩვენს სამშობლოს, უდგას ავდარი!
როდესაც დროშა ალისფერი
  კვლავ აფრიალდა
ხუთქიმიანი მოკაშკაშე
ვარსკვლავით თავში,
იპოვნეს წიგნი,
  უბასრესი, მხნე და გრიგალა
ერთ-ერთ დაღუპულ
  სახელოვან გმირის ჩანთაში;

დაცხრილულიყო ყუმბარისგან,
ჰფარავდა ფერფლი,
ფაშისტს დაეჭრა
  ჩანთა, ასოც წინ მავალ წიგნის;
ქაღალდი სძლიეს—
  მოერივნენ მას ტყვიამფრქვევით,
მაინც სცოცხლობდა, —
ცეცხლს აჩენდა ვით კორჩაგინი!
ეს იყო წიგნი ოსტროვსკისა,
  მხნე და აღმგზნები,
მხედართმთავრულად იძახოდა:
  წინ. ცეცხლი. დასცხეთ.
უსმენდნენ მის ხმას
  გვარდიელთა მტკიცე რაზმები,
კორჩაგინები ბობოქრობდნენ
  საბრძოლო ხაზზე.

აკაკის მუხამბაზისათვის
„ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“

ი. გრიშაშვილი

ბიბლიოთეკა

ამას წინად ლიტერატურის ერთი მასწავლებელი წერილობით შემეკითხა აკაკის ცნობილი „მუხამბაზის“ შესახებ. მისი აზრით, იქ, სადაც რითმაა „სამნაირად“, უნდა იყოსო—„სხვანაირად“. აი ეს შეკითხვაც:

„მე ქართულ ლიტერატურას ვასწავლი და ბავშვები აკ. წერეთლის „მუხამბაზის“ („ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“) შესწავლის დროს ხშირად მთხოვენ განმემარტა, რა არის „სამნაირი“ სიცილი („მაგრამ მაინც ვიცინი სამნაირად“). მე აკაკის ხელთნაწერებს არ ვიცნობ, მაგრამ აქ „სამნაირად“ არაფერ შუაშია, აქ უთუოდ იქნება „სხვანაირი“ სიცილი და ტექსტიც მაშინ გასაგები გახდება“...

ეს აზრი არა ერთხელ მსმენია და თუმცა მე, აკაკის მესამე ტომს (პოემების) ვრედაქტორობდი, მაგრამ მაინც, მოვალედ ვრაცხ თავს, ამ ლირიკულ ლექსზედაც ჩამოვაგდო სიტყვა და გავარკვიო, რომელია სწორი: „სამნარი სიცილი“ თუ „სხვანაირი სიცილი“?

საქმე ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება ამ ლექსს იცნობს ნაწყვეტის სახით. პირველი რედაქცია შეიცავს 36 სტრიქონს. ამჟამად ცნობილია მხოლოდ 20 სტრიქონი. ასე რომ ამ „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიეს“ მოგლეჯილი აქვს თითქმის ნახევარი (16 სტრიქონი). ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ ლექსს მთლიანად, როგორც ის პირველად გამოქვეყნდა და მერე ჩვენი დანასკვიც გამოირკვევა.

მუხამბაზი

ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის.
გ. ორბელიანი

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,
სიტკბოზედა მწარე ბევრი დავლიე,
არ მშორდება მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი!
რას მიქვიან პირადი მწუხარება!?
— მოჰკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!!
ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი,
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას
  ცოცხალ-მკვდარი!
მაგრამ, იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქ-მოხდილი,
უგრძნობლად ჰხდის საწყალს საღათას
  ძილი!..
თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი;
თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი,
მაგრამ მაინც ვიცინი **სამნაირად**
და მჭვრეტელთაც ესა აქვსთ გასაკვირად:
„ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო!
ეს იცინის?, როგორ არა რცხვენისო!“
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!..
რომ სიცილი ბევრჯერ უფრო მწარია!..
მე ვიცინი იმის გამო სამგვარად,
რომ სატრფოზედ ვფიქრობ უსუსტრად,
  მარად:
მის წარსულსა ვიგონებ და გულსა მწყვეტს,
აწმყო მტანჯავს და გულს მიწვავს
  ვით აბედს!
მომავალი კი მპირდება მე იმედს
და სამგვარად მით დავსცინი ამის ბედს!
თორემ ჩემთვის ტყუილია სიცილი,
პირად ვნებას არა აქვს ჩემთან ხელი. (?)
მხოლოდ ამის გაღვიძებას მე ვუცდი,
თუ ლოდინში უდროვოდ არ მოვხუცდი!
მოვესწრები, რომ განიფრთხოს მან ძილი
და მიმღეროს ისი, ტურფა ქორწილი!
როდის იქნეს სვიმონივით მეცა ვსთქვა:
„განმიტევე!“ და მღვიძარი მივიქვა!
მაშინ მხოლოდ მე გულით გავიცინებ,
მოსვენებით საფლავშიც დავიძინებ.
  აკაკი

მკითხველი შეამჩნევს, რომ ხაზგასმული სიტყვები უცნობია მისთვის. უცნობს იმიტომ ვამბობ, რომ ეს ლექსი გამოქვეყნების დღიდან („კრებული“, 1872—3 წ., № 10-11-12, გვ. 189) აკაკის არც ერთ ტომში აღარ შესულა (გადაიბეჭდა მხოლოდ „ჯიბის კალენდარში“ 1882 წ., გვ. 59).

საკითხავია: რატომ მოხდა ეს?

აშკარაა, აქ უპირველეს ყოვლისა ცენზორს მიუძღვის ბრალი,—ამ ლექსის პირი ცენტრ. არქივშიაც ინახება, მხოლოდ თვით ჟურნალ „კრებულიდან“ ცენზორს ამოუხევია ამ ლექსის მთელი ფურცელი და „კრებულის“ რედაქციას არც სარჩევში მოუხსენებია იგი, მხოლოდ რამდენიმე ეკზემპლარი გადარჩენილა გამოუშიგნავი, საიდანაც გადმოვიწერეთ ჩვენ ეს მუხამბაზი. აკაკის ეს ლექსი გაჟღენთილია პატრიოტული ლირიზმით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აქ მოხსენებული „სატრფო“ ნართაულად იმდროინდელი საქართველოა ნაგულისხმევი,—„ძველი ტურფა დღეს მკვდარივით მძინარი“, — რომელსაც ჭირისუფალივით დასტრიალებდა თავს ჩვენი დიდებული მგოსანი.

მე მგონი, ამ ლექსის მთლიანად გაცნობის შემდეგ, გასაგები გახდება, თუ რატომ ამბობს პოეტი: „მაგრამ მაინც ვიცინი **სამნაირად**“. ამ სამნაირ სიცილში მგოსანი გულისხმობს თავის სამშობლოს „წარსულს“, „აწმყოს“ და „მომავალს“.

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ, აკაკი წერეთლის ნაწერების რედაქტორები? ჩემი პირადი აზრი ასეთია: თუ ეს ლექსი მთლიანად (ე. ი. 36 სტრიქონი) შევა აკაკის ტომებში, მაშინ უნდა დარჩეს სიტყვა „**სამნაირად**“. ხოლო თუ ამ ლექსს მეორე ნახევარი (ე. ი. 20 სტრიქონი) მოვარიდება, როგორც ეს ამჟამადაა გავრცელებული, მაშინ უნდა გაკეთდეს „**სხვანაირად**“. სწორედ ასე მოიქცა თვით აკაკი, როცა მან ეს ლექსი შეიტანა თავის ლექსების პირველ კრებულ „სალამურში“, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

აი როგორი რედაქციითაა დაბეჭდილი ეს ლექსი აკაკის სიცოცხლის დროს:

...მაგრამ მაინც ვიცინი **სხვანაირად**
და მჭვრეტელთაც ესა აქვსთ გასაკვირად:
ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო!
ეს იცინის, როგორ არა რცხვენისო?
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია..
რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარია?“
  („სალამური 1893 წ., გვ. 15).

აკაკიმ ამ ლექსს სამართლიანად მოაცილა მეორე ნახევარი... თუმცა შინაარსობრივად ამ ლექსის გაგრძელებაში (სადაც პოეტი სახავს „მომავლის დიდ იმედს“) უფრო გაღრმავებულია ლექსის დედააზრი, მაგრამ ლექსალური აღნაგობის თვალსაზრისით იგი გაჭიანურებულია, აკლია მას დახვეწილობა და სინათლე. ამ ოპერაციის დროს აკაკის, რასაკვირველია, არ დავიწყებია ერთი სიტყვის შეცვლაც, რომელიც ტექსტს აღარ ეფარდებოდა. ეს სიტყვა იყო „სამნაირად“. და რომ პოეტს რითმისათვის აზრი არ შეეწირა, „სამნაირი“ შესცვალა სიტყვით „სხვანაირად“. აქ, ჯერ ერთი, „სამნაირად“ უკვე ზედმეტობდა და მეორეც—„სალამურში“ დაბეჭდილი ახალი რედაქცია ერთი მთლიანი ჩუქურთმა გამოვიდა. მას მიეცა უფრო მეტი სიმტკიცე ფოლადისა და აბრეშუმის სილბო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აკაკის არც ერთ ტომში (როგორც ძველ, ისე ახალ გამოცემებში) ამ ლექსის არც მეორე ნახევარზეა ლაპარაკი და არც კრებულ „სალამურის“ რედაქციაა გამოყენებული..

ასეთია ამ ლექსის ავან-ჩავანი და, მე მგონი, ამის შემდეგ ჩვენი ლიტერატურის მასწავლებელი აღარ შემესიტყვება—რომელია სწორი: „სხვანაირი“ სიცილი თუ „სამნაირი“ სიცილი“.

სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივი ქართელ საბჭოთა პოეზიაში

წერილი მეორე

ს. ჭილაია

სამშობლოსადმი სიყვარული უწმინდესი და უფაქიზესი გრძნობების ჯადოსნური ძალით ჟღერს ქართულ ლიტერატურაში. სამშობლოს სიყვარულის თემა ქართულ ლიტერატურასთან ერთად გაჩნდა, მასთან ერთად გაიზარდა და განვითარდა. ქართულმა ლიტერატურამ ძლევა-მოსილი ხოტბა და დიდება უმღერა სამშობლოს, ხალხს. დედა-სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის, მამულის ღირსების დაცვისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სახელოვანი ტრადიცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აწრთობდა ჩვენი ხალხის აზრსა და გრძნობას, ახალ თვისებებში გადავიდა და თანამედროვე ლიტერატურის საყოველთაო გრძნობად გადაიქცა. შეიცვალა სამშობლოს თემა, როგორც ხატვის ობიექტი. თანამედროვე პოეზიაში სამშობლოს ცნება ფართო შემეცნებითი ძალისა გახდა. დღევანდელ სამშობლოს ცნებაში იგულისხმება არა მარტო საქართველო, არამედ მთელი საბჭოთა ხალხების მიწა-წყალი, სტალინური მეგობრობით შეკავშირებული საბჭოთა ხალხების მრავალერიანი ქვეყანა.

სამშობლოსათვის თავდადებისა და სიყვარულის თემა თანამედროვე პოეზიაში ორგანიულად უკავშირდება ხალხთა სტალინური მეგობრობისა და ინტერნაციონალურ სოლიდარულ გრძნობას. საბჭოთა ხალხების მეგობრობის იდეა უძვირფასესი მონაპოვარია ჩვენი ქვეყნისა. პოეტ გალაქტიონ ტაბიძის სიტყვებით რომ ვსთქვათ:

„ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,
იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის
ურთიერთ რწმენის ურყევ საძირკველს“.

ეს ფართო შემეცნებითი ხასიათი არის საბჭოთა პატრიოტიზმის ნიშანდობლივი თვისება თანამედროვე პოეზიაში. ამ ნიადაგზე ფართოდ დამკვიდრდა მოძმე ხალხთა ცხოვრების თემა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ქართველი ხალხი საბჭოთა მოძმე ხალხებთან ძმური, მეგობრული გრძნობითაა დაკავშირებული. ამ მეგობრობის ნიადაგზე წარმოშობილი პატრიოტული განწყობილების ჩვენება თანამედროვე პოეზიის საპატიო თემად იქცა. მართალია, არც ქართული კლასიკური მწერლობისათვის იყო უცხო მეზობელ ხალხთა ცხოვრების თემა, მაგრამ თვით ეს „მეზობლობა“ არ იყო ხშირად მეგობრული. ამ განწყობილებას პოეტი გ. ლეონიძე აზერბაიჯანის პოეტებისადმი მიმართულ ლექსში ასე გადმოგვცემს:

„გვახსოვს, შუაში ელავდა ხმალი,
ცხედრის მოტირალს აღარ ვტოვებდით
არც მოერთგულე, არც თანახმანი..
ცალკე ვცხოვრობდით გაუტოლებლივ.
ცას აბნელებდა კვამლების სისქე,
ძირს მიწა ყარდა კაცის მძორითა,
და კავკასიის ბედნიერ მზის ქვეშ
აკვნის რიცხვს კუბოს რიცხვი სწონიდა“.

ასეთი იყო ხალხთა ურთიერთობის სურათები წარსულში. ისტორიამ სამუდამოდ აუგო წესი და არასოდეს აღარ დაბრუნდება ეს სისხლიანი დღეები.

„გრძელი ხმლები და ციხე, ჯებირი
გადავაბარეთ გარდასულ დროსა,
როცა გაგვიძღვა გამარჯვებული
სტალინის ხელი, ლენინის დროშა“.
  (გ. ლეონიძე)

პოეტის ამ განწყობილებაში მთელი ჩვენი ხალხის მრწამსია გადმოცემული. ეხლა საბჭოთა ხალხებს სტალინური მეგობრობის მტკიცე გრძნობა აკავშირებთ.

მეგობრული გრძნობით დაკავშირებულ საბჭოთა ხალხებს არა მარტო უყვართ ერთმანეთი, არამედ გულწრფელად ახარებთ კიდეც თითოეული მათგანის მიღწევა და ეს მიღწევა თავის მიღწევადაც მიაჩნია. მოძმე ხალხთა სამშობლოსადმი სიყვარული ი. მოსაშვილმა ბელორუსიისადმი მიმართულ ლექსში ასე გამოხატა:

„და შენ, მეორე სამშობლოვ ჩემო,
დიდი საბჭოთა ქვეყნის ნაჭერო,
შენი გმირული მარჯვენის ცემა
ვერც ერთმა ძალამ ვერ შეაჩერა“.

ქართველმა პოეტებმა დიდების, სიყვარულისა და პოეტური სიტყვის წარმტაცი ფერებით შეამკეს წითელი არმია. ჩვენს წითელ მეომრებს მეტად კეთილშობილური იდეა ამოძრავებთ — დაიცვან მშობლიური მიწა, განდევნონ ჩვენს მიწა-წყალზე ძალით შემოჭრილი ვერაგი მტერი, შეუნარჩუნონ ჩვენს ხალხს ბრძოლითა და შრომით მოპოვებული თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ღირსება. ამ ამოცანების განხორციელებისათვის გმირულად იბრძვის ჩვენი სახელოვანი წითელი არმია. სამშობლოს წინაშე ამ საპატიო მოვალეობის შეგნებით შთაგონებული წითელარმიელები სასწაულებს ახდენენ. მათი გმირული საქმეები საყოველთაო ქებასა და მოწონებას იწვევენ.

ამ გმირობის საფუძველს სამშობლოს მხურვალე სიყვარული შეადგენს. პოეტ ხ. ვარდოშვილის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „მამულის ტრფობით არის შობილი მათი ზღაპრული გამბედაობა“. მათი „ბასრი მახვილი და მაგარი მკლავი“, დედა-სამშობლოს დაცვას ემსახურება. მათ კარგად ესმით, რომ საჭიროა, გასწირო თავი უსაყვარლესი სამშობლოსათვის, რომ დაიცვა და ასახელო სამშობლო შენი. წითელარმიელს ათასი სიცოცხლე რომ ჰქონდეს, არც ერთს არ დაიშურებდა თავის სამშობლოსათვის. გმირი წითელარმიელი ნატრულობს „ნეტავი მომცა სიცოცხლე დაულეველი, უშრეტი ძალა, უთვალავი ხელი და რომ ვიდგე კოცონივით ცად აღმართული ჩვენი საზღვრების სადარაჯოზე. მამული მოითხოვსო ყოველ საბჭოთა პატრიოტისაგან თავდადებას. „მამული ამბობს, იბრძოლე ჩემთვის, ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, შვილო“ (ს. ჩიქოვანი). საბჭოთა ხალხის პირმშო არმია გმირულად იცავს ქვეყანას. წითელარმიელების ფიცად გაისმის პოეტის სიტყვები:

„მზად ვართ დავიცვათ სამშობლო,
ხალხს ავაცილოთ ზიანი,
დავიცვათ ჩვენი სტალინი,
ჩვენი სიცოცხლე მზიანი“.

საბჭოთა ხალხის სამამულო ომში მონაწილე ქართველმა მეომრებმა კარგად იციან, რომ „სადაც ცეცხლს ანთებს მტერი, იქ საქართველოს კარი ჰკიდია“ (ალ. აბაშელი). ამიტომაა, რომ ქართველი ხალხის სახელოვანი გმირები „მკერდით იფარავს მამულს, ვაჟკაცობით იცავს კერას და მამულს“. „შურისგებას ითხოვს ჩვენი მიწა მტრის მიერ შეგინებული და გათელილი“. და ჩვენი ხალხი გამსჭვალულნი არიან რწმენით, რომ შურს იძიებს წითელი არმია მტერზე, არ ჩაუგდებს მტერს საჯიჯგნელად სამშობლოს. ჩვენი ხალხის, წითელი არმიის გამარჯვება გარდაუვალია, რადგან

„მას წინ მიუძღვის დიდი სარდალი,
სიმართლისათვის ბრძოლას ჩვეული,
მართალთა შორის უფრო მართალი,
რჩეულთა შორის უფრო რჩეული“.

საბჭოთა პოეზია სამშობლოს დაცვის წმინდათა-წმინდა იდეას უმღერის, ხალხში სამშობლოს დაცვის მტკიცე რწმენას აღვივებს.

ოქტომბრის რევოლუციის „გრიგალში დაბადებული“ ჩვენი არმიის ძალას მისი კეთილშობილური მიზნის სიცხადე განსაზღვრავს. საბჭოთა ხალხის მშობლიურმა არმიამ იცის, რომ იგი იცავს ჩვენი ხალხის თავისუფლებას, მას ესმის, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რისთვის იბრძვის, რისთვის ომობს, იცის, რომელ მხარეს იცავს, იცავს სისხლით, იარით“ (გ. ტაბიძე). ჩვენ წითელ არმიას ამოძრავებენ თავდაცვის და არა დაპყრობის, სხვის დამონების მიზნები. ჩვენი არმია იცავს თავის სამშობლოს, საბჭოთა ბავშვების, დედებისა და მამების ოჯახურ კერას. ამ მიზნის სიდიადეში არის ჩვენი არმიის ძალა. ჩვენ არ გვინდა სხვისი მამული, „ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა“, მაგრამ ჩვენს „დროშასა და მიწას“ არავის მივცემთ. ლომის ძალღონით დავიცავთ დედა-სამშობლოს. ასეთია ჩვენი ხალხის გადაწყვეტილება.

საბჭოთა პოეზია მგზნებარე სიძულვილის გრძნობას აღვივებს დამპყრობელთა და მოძალადეთა მიმართ. აშიშვლებს კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის დაუძინებელი მტრის — ფაშისტი ბარბაროსების საძულველ სახეს, მის ველურ ბუნებას, რომელიც

„სხვის ლობე-ყორეს რომ ეფარება,
და მსხვერპლს დაეძებს ზაფხულ-ზამთარი,
ეგ არის, აკვნებს რომ ეპარება
და ბავშვებს ახრჩობს, როგორც აფთარი“.
  (ა. მაშაშვილი).

ამ ბარბაროსებს განუზრახავთ საბჭოთა ხალხის დამონება. პირსისხლიანი მოდის აფთარი, ცდილობს დედამიწაზე წყვდიადის დამყარებას. „ბარბაროსი სისხლის მსმელი, გონებასთან ჯიბრში მყოფი, საწამლავით ხელში მოსულს, მას სიკვდილი მოსდევს მძლებლად“ (გ. ტაბიძე). ასეთია ჩვენს მიწა-წყალზე ვერაგულად შემოჭრილი მტრის სახე. ამ „აზრის ქოსებს“ სურთ მონობაში იყოლიოს მთელი მსოფლიო. მათი ვერაგული საქმე, მათი ნაკვალევი სისხლით არის მორწყული. სადაც მათ ფეხი დაადგეს, ყველგან სიკვდილი და სისხლი დათესეს, ვერანად აქციეს აყვავებული სოფლები და ქალაქები. უმსგავსოა მათი საქმენი, „ნგრევის ქვა და ნაცარი“, ხალხს დაავიწყეს თითქოს სიცილი და ქვეყანა ცრემლითა და სისხლით დატვირთეს. დედების თვალთა წინ ხმელ ხესავით ცეცხლს შეუკეთეს ბავშვები! თავგაჩეხილი მოხუცები, ნამუს ახდილი და ჩამოხრჩობილი ქალები, დახოცილი ბავშვები, გაძარცული და დარბეული ჩვენი სოფლები და ქალაქები თვალწინ უდგანან ჩვენს ხალხს. შურისძიების კოცონად აენთო მათი გული, ჩვენი ხალხი შურს იძიებს ვერაგ მტერზე:

„უნდა დაემხოს ბილწი ატილა,
ხალხის მტარვალი ხელ სისხლიანი,
უნდა მიეზღოს ვერაგს ათწილად,
რაც მან ქვეყანას უყო ზიანი.
ვისაც გსურთ დასტკბეთ მისი დამხობით,
ხელი მოჰკიდეთ იარაღს ყველამ,
რომ გამოიღოს ცეცხლის ნაყოფი
ხალხის ყამირზე ნათესმა ელვამ“.
  (ა. აბაშელი).

ჩვენი ხალხი აღსავსეა სიძულვილით და ზიზღის გრძნობით მტრებისადმი, ბარბაროსებისადმი, რომლებიც მუხანათურად დაეცნენ ჩვენს მიწა-წყალს, და რომელნიც ჩვენს ხალხს დამონებას უქადიან. ჩვენი ხალხის შურისძიების გრძნობა განუსაზღვრელია. პირსისხლიანი მტერი საბოლოოდ განადგურებული იქნება.

ბიბლიოგრაფია

„პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში“

ქართველობას წარსულში გამოუცდია ბევრი საშინელი და სასტიკი დამრბეველის შემოსევის მწარე დღეები. მაგრამ ქართველობა გულდაგულ დახვედრია მოძალადეს, გაუღია დიდი მსხვერპლი, მტერს კი არასოდეს დამონებია, სულიერი მხნეობის და მამაცობის სასიხარულო მაგალითები უჩვენებია. დღეს საბჭოთა ხალხი ლეგენდარული თავდადებით და ვაჟკაცობით ებრძვის და უმკლავდება პირსისხლიან ბარბაროსებს. საქართველო მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად აქტიური მონაწილეა დიადი სამამულო ომია. ჩვენმა ხალხმა არა ერთი და ორი თავდადებული გმირი მისცა დღეს ქვეყანას ფაშისტური ურდოების გასანადგურებლად.

ქართული პოეზიის მგზნებარე პატრიოტული ხმები ტკბილ ჰანგად მოესმის სამამულო ომის მეომარს ფრონტზე თუ ზურგში. სწორედ ამ პოეტური მემკვიდრეობის მიმოხილვაა მოცემული **სტალინის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ეხლახან გამოცემულ პროფ. ა. ბარამიძის ნაშრომში—„პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში“ (მე-16-18 საუკუნეები).

ავტორი პირველად მიმოიხილავს თარგმნილისა თუ გადმოკეთებული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს („როსტომიანი“), სადაც შეფიოდაა გამოვ[illegible]ილი პატრიოტიზმი, რაც ხელს უწყობდა ქართველ საზოგადოებაში „სიმხნისა და ახოვნისა სულის გაღვიძებას“. პატრიოტული მოტივი დიდი სიმძლავრით ჟღერს მეფე თეიმურაზ პირველის, არჩილის, ი[illegible] ტფილელის, დ[illegible] გურამიშვილის, ვახტანგ მეექვსის, ბესარიონ გაბაშვილის და სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. თვითეული მათგანის მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზის საფუძველზე ა. ბარამიძე ნათელჰყოფს, თუ რამდენად აღელვებდა და აწუხებდა სამშობლოს ბედი და მდგომარეობა ქართული პოეზიის სახელოვან წარმომადგენლებს. მათი პატრიოტიზმი მგზნებარე და განუსაზღვრელია, სამშობლოს სიყვარულს და მისთვის თავდადების გრძნობას ისინი ყველა გრძნობაზე მაღლა აყენებენ. ბევრი მათგანის ნაწარმოებში გაიელვებს სახე ისტორიული გმირისა და მამულიშვილებისა (გიორგი [illegible]აკაძე და სხვ.).

ა. ბარამიძის ამ საინტერესო ნაშრომის გამოცემა დროული და სასარგებლოა. იგი სრულ წარმოდგენას მისცემს ჩვენს მკითხველს იმაზე, თუ რამდენად მძლავრად აისახა მე-16-18 საუკუნეების ქართულ პოეზიაში პატრიოტიზმის კეთილშობილი გრძნობა.

დ. გივარგილიანი

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7974